საჯარო სამართლის იურიდიული პირი –
ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო

ქ. ბათუმი **24 ივლისი, 2012 წელი**

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა № 138

,,ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტში 2012-2013 სასწავლო წლის დაწყებისა და სასწავლო წლის შეუფერხებლად წარმართვის ღონისძიებების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2012 წლის 28 მაისის № 120 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ

,,ზოგადიადმინისტრაციულიკოდექსის'' 51-ე, 52-ე და 53-ე მუხლების, ,,უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის I პუნქტის, ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის წესდების 23-ე მუხლის მე-3 პუნქტის, ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის შინაგანაწესის 48-ე მუხლის პირველი, მე-2, მე-3 და მე-4 პუნქტების საფუძველზე

აკადემიური საბჭო ადგენს:

1. შეტანილ იქნას ცვლილებები,,ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტში 2012-2013 სასწავლო წლის დაწყებისა და სასწავლო წლის შეუფერხებლად წარმართვის ღონისძიებების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2012 წლის 28 მაისის № 120 დადგენილებაში:

– 2012-2013 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრი სწავლების ყველა საფეხურზე დაიწყოს 10 სექტემბერს, ორშაბათს და დამთავრდეს 2012 წლის 21დეკემბერს, პარასკევს;
– დავალიანებისდაფარვისვადაგანისაზღვროსმიმდინარეწლის15 სექტემბრიდან 30 სექტემბრის ჩათვლით;
– შემოდგომის სემესტრის ადმინისტარციული რეგისტრაციის ვადა განისაზღვროს 1 სექტემბრიდან 07 სექტემბრის ჩათვლით, გარდა განსაკუთრებული შემთხვევისა;
– მიმდინარე მეცადინეობათა აღდგენა მოხდეს 2013 წლის 22 დეკემბრიდან 25 დეკემბრამდე;
– საშობაო არდადეგები გამოცხადდეს 2012 წლის 25დეკემბრიდან 2013 წლის 08იანვრამდე;
– შემოდგომის სემესტრში ძირითადი საგამოცდო სესია ჩატარდეს 2013 წლის 10 იანვრიდან 25 იანვრამდე;
– დამატებითი საგამოცდო სესია ჩატარდეს 25იანვრიდან 01 თებერვლის ჩათვლით;

– გაზაფხულის სემესტრის ადმინისტრაციული რეგისტრაციის ვადა განისაზღვროს 04თებერვლიდან 11 თებერვლამდე;

– გაზაფხულის სემესტრის სალექციო-სააუდიტორიო სამუშაო დაიწყოს 2013 წლის 11 თებერვალს, ორშაბათს და დამთავრდეს 2013 წლის 31 მაისს, პარასკევს;

– მიმდინარე მეცადინეობათა აღდგენა მოხდეს 2012 წლის 3 ივნისიდან8ივნისის ჩათვლით;

– გაზაფხულის სემესტრის ძირითადი საგამოცდო სესია ჩატარდეს 2013 წლის 10 ივნისიდან 24 ივნისის ჩათვლით;

– დამატებითი საგამოცდო სესია ჩატარდეს 2013 წლის 25 ივნისიდან 01ივლისის ჩათვლით;

– კურსდამთავრებულთათვის კვალიფიკაციის მინიჭება მოხდეს 2013 წლის 25 ივნისიდან 10 ივლისის ჩათვლით.

– სალექციო-სააუდიტორიო მეცადინეობები, ფაკულტეტებთან შეთანხმებით, შეიძლება ჩატარდეს ორ ცვლაში ყოველდღე, გარდა შაბათ-კვირისა და დაიწყოს დილის 09 საათზე. განსაკუთრებულ შემთხვევაში დასაშვებია შაბათ-კვირას სალექციო-სააუდიტორიო და ინდივიდუალური მეცადინეობები ფაკულტეტის დეკანთან შეთანხმებით.

– აკადემიური საათი განისაზღვროს 50 წუთით, ხოლო მეცადინეობებს შორის შუალედი - 10 წუთით.

2. ძალადაკარგულად ჩაითვალოს ,,ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტში 2012-2013 სასწავლო წლის დაწყებისა და სასწავლო წლის შეუფერხებლად წარმართვის ღონისძიებების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2012 წლის 28 მაისის № 120 დადგენილება.

3. დადგენილება დასამტკიცებლად წარედგინოს წარმომადგენლობით საბჭოს.

4. დადგენილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

აკადემიური საბჭოს
თავმჯდომარე **ე. მესხია**